



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,

E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

16 მაისი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 31

საკრებულოს წევრის გელა აბულაძის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,


1. ცნობად იქნეს მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2022 წლის 30 მარტის N10დ/1509 განჩინება გელა აბულაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისა და გელა აბულაძის, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების 2022 წლის 30 მარტიდან შეჩერების თაობაზე;

2. განკარგულება ძალაშია გაცნობის თანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

კორნელი სალია



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოგესენებათ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი ექსპერტიზის საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილება და საკრებულოს კომისიის დასახელება ფორმულირდა შემდეგი სახით-სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. გათვალისწინებით ამისა, რეგლამენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხორციელდება ცვლილებები განსახილველ ნორმატიულ აქტში, იცვლება სათაური და რამდენიმე პუნქტი კომისიის დასახელებასთან მიმართებაში.